ქ. წალენჯიხა 25 იანვარი 2024 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კომისიების ერთობლივი
სხდომის ოქმი N11

2024 წლის 25 იანვარს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა, სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა და სოციალურ საკითხთა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების ერთობლივი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია. ესწრებოდნენ კომისიების შემდეგი წევრები: ავთანდილ გაბელია, გონერ კვარაცხელია, დათო მესხია, დავით ბელქანია, ბესიკ ფარცვანია, რაისა ჩანგელია, ნანა ლემონჯავა, თემურ ქარდავა, ნანა ქობალია, დარეჯან დადიანი, მანანა ჭანია, დათა კუკავა, ეკა სამუშია, გელა აბულაძე, თენგიზ ფიფია, ირაკლი სალია, ნანა კეკუა, ომარ ქარდავა, ზაზა უბილავა, რომან კვარაცხელია, მაია მიქავა, გიორგი დარსალია, მამუკა მიქავა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია.

დაწყების დრო: 12:00-სთ.
დასრულების დრო: 12:30-სთ

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პრფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტის წარმომდგენი: ივანე ბურდული, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

2.“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის შესახებ“

პროექტის წარმომდგენი: **თამარ ბელქანია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **გელა სალია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

4.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკრებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **გელა სალია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

5.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიის ადმინისტრაციულ ერთეულის N1 ქუჩის გარკვეული ნაწილისთვის ლევან სამუშიას სახელის მინიჭების თაობაზე.

პროექტის წარმომდგენი: **ომარ ქარდავა,** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტის წარმომდგენი: **რომან კვარაცხელია,** საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

7.“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტის წარმომდგენი: **რომან კვარაცხელია,** საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

8.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **რომან კვარაცხელია,** საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

9.სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა. მისი განმარტებით, მერს აქვს უფლებამოსილება ყავდეს მერის მოადგილეები, რომლებსაც თავიანთი საკურატორო დარგების მიხედვით განაწილებული აქვთ უფლება-მოვალეობები, ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური სფეროს დაფინანსება, იხსნება აუტიზმის ცენტრი, ამიტომ ერთერთი მოადგილე კურატორობას გაუწევს სოციალურ სფეროს, მეორე- კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას. ამასთან დაკავშირებით საკრებულოს თვმჯდომარის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ ამ საკითხს ის ხმას არ მისცემს და წინააღმდეგია, თავისი აზრი დააფიქსირა ამასთან დაკავშირებით კომისიის წევრმა თენგიზ ფიფიამ და აღნიშნა, რომ მათი ფრაქცია მხარს არ დაუჭერს ამ საკითხს. კენჭისყრაზე საკითხი ჩაითვალა საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მოუმზადებლად.

მოისმინეს: 2.“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის შესახებ“ საკითხი წარმოადგინა სოციალურ საკითხთა კომისიის თვმჯდომარე რაისა ჩანგელიამ. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ ჰქონიათ. საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსმა ინფორმაცია მისცა სხდომას, რომ საკრებულოს აპარატი განახორციელებს აქტის რედაქტირებას და გაასწორებს რიგ სამართლებრივ და ტექნიკურ ხარვეზებს, რასაც დაეთანხმნენ მერიის წარმომადგენლები. კომისიამ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტი ჩათვალა საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

მოისმინეს: 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ. საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ ჰქონიათ და ჩათვალეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

მოისმინეს: 4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ. მან აღნიშნა, რომ საუბარია ქ.წალენჯიხაში სალიას ქუჩაზე მდებარე 43კვ.მ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებული ნაგებობაზე. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება 600 ლარით, ვადა კი განისაზღვრება 2 წლით. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ ჰქონიათ და ჩათვალეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

მოისმინეს:5 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიის ადმინისტრაციულ ერთეულის N1 ქუჩის გარკვეული ნაწილისთვის ლევან სამუშიას სახელის მინიჭების თაობაზე საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავამ. მან აღნიშნა, რომ მასთან შემოსულია წალენჯიხის

მუნისიპალიტეტის ლიის ადმინისტრაციული ერთეულის N1 ქუჩის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, სადაც ითხოვენ რომ აღნიშნულ ქუჩაზე გარდაცვლილა ახალგაზრდა, 33 წლის ლევან სამუშია და ითხოვენ ამ ქუჩის გარკვეულ ნაწილს ეწოდოს მისი სახელი.~საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ შეისწავლა ეს საკითხი და კომისიის დასკვნის საფუძველზე, ეს საკითხი საკრებულოს სხდომაზე არ უნდა იყოს განსახილული, რადგანაც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომისია ვერ დადებს დადებით დასკვნას, იმდენად რამდენადაც კომკრ4ეტული პირის სახელდება დასახელებული ობიექტისადმი ვერ აკმაყოფილების „გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელდების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს. აღნიშნულს დაეთანხმა კომისიების შემადგენლობა ერთხმად.

მოისმინეს:6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოადგინა სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თვმჯდომარე რომან კვარაცხელიამ. საკრებულოს წევრებს საკითხთან დაკავშირებით წინადადებები და შენიშვნები არ ჰქონიათ და ჩათვალეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

მოისმინეს:7."წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოადგინა სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თვმჯდომარე რომან კვარაცხელიამ. საკრებულოს წევრებს საკითხთან დაკავშირებით წინადადებები და შენიშვნები არ ჰქონიათ და ჩათვალეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

მოისმინეს:8.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ საკითხი წარმოადგინა სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თვმჯდომარე რომან კვარაცხელიამ. საკრებულოს წევრებს საკითხთან დაკავშირებით წინადადებები და შენიშვნები არ ჰქონიათ და ჩათვალეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით, საკრებულოს კომისიების ერთობლივმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე / **დათო მესხია/**

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რომან კვარაცხელია/

სოციალურ საკითხთა კომისიის თვმჯდომარე /რაისა ჩანგელია/

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე /ომარ ქარდავა/

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /თემურ ქარდავა/